ბრომადიოლონი 0.005% (რეთსქილერი) - (Bromadiolone 0.005%)
Bromadiolone

წამლის ფორმა: მზა ფორმის გრანულირებული მისატყუარი.

შემადგენლობა: ბრომადიოლონი 0.005%-ანი.

გამოშვების ფორმა: 60 გ და 1კგ პაკეტები.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: სადერატიზაციო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები

პრეპარატი წარმოადგენს მღრღნელებთან (თაგვი, ვირთხა, მინდვრის თაგვი და სხვ.) ბრძოლის ანტიკოაგულანტურ საშუალებას. იყრება როგორც მისატყუარი, ასევე სოროებში შხამიანი საფარის შესაქმნელად.

პრეპარატის კუჭ-ნაწლავში შემთხვევითი მოხვედრისას მიიღეთ ვიკასოლი ან ვიტამინი K.

გამოყენების წესი და დოზები

ერთი შეფუთვა (60 გ) ნაწილდება და იყრება პატარა ქაღალდებზე და ამგვარად ლაგდება მღრღნელების ადგილსამყოფელში. მღრღნელების სიკვდილიანობა იწყება 3-5 დღის შემდეგ. მღრღნელების სრული განადგურებისათვის უმჯობესია ამ ღონისძიებების ჩატარება ორჯერადად, 10 დღიანი ინტერვალით.

პრეპარატის ხარჯი:

60 გ პრეპარატი გამოიყენება: დახურულ შენობებსა და სათავსოებში - 10-20 მ^2-ზე;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და სათესი ფართობების 1 ჰექტარზე საჭიროა 2 – 3 კგ;

შენახვის პირობები: ინახება მშრალ, გრილ ადგილას 18°C-მდე ტემპერატურაზე. ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 1,5 წელი

მწარმოებელი ქვეყანა: კორონი, საქართველო.